ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბრძანება:**№49. 49252182**
თარიღი:**06/08/2025**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოვიდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის გენადი ბალანჩივაძის წინადადება საკრებულოს სხდომაზე საკითხების განხილვისა და რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ. ვინაიდან წერილში მითითებული საკითხები არის საკრებულოს კვარტალური სამუშაო გეგმით გაუთვალისწინებელი საკითხები, რომლებიც საჭიროებს სასწრაფოდ განხილვას, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 26–ე მუხლის მე–2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ.გ" ქვეპუნქტის, 61–ე მუხლის მე–3 ნაწილის „გ" ქვეპუნქტისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 51-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2025 წლის 7 აგვისტოს, 13:00 საათზე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის წინადადების საფუძველზე, მოწვეული იქნეს საკრებულოს რიგგარეშე სხდომა შემდეგი დღის წესრიგით:

    1) „2025 წლის 4 ოქტომბრის მუნიციპალიტეტის ორგანოების არჩევნებისათვის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაცია) ჩატარებისათვის შენობა - ნაგებობების ნუსხის განსაზღვრის შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

    2) „2025 წლის 4 ოქტომბრის მუნიციპალიტეტის ორგანოების არჩევნებისათვის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო სააგიტაციო მასალის განთავსების რეგულირების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

2. საკრებულოს აპარატმა უზრუნველყოს:

    ა) ბრძანების გამოქვეყნება;

    ბ) საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევა;

    გ) საკრებულოს წევრთა რეგისტრაცია 12:30 საათიდან.

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს აპარატის

საქართველო, ქ.წყალტუბო, რუსთაველის ქ.N27, ტელ: (0436) 22-50-03, ელ-ფოსტა:
TSKALTUBO.SAKREBULO@GMAIL.COM

უფროსს გელა თათარაშვილს.

4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი